ცვლილებები დამტკიცებულია
მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების
„საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტიის"
2017 წლის 13 ივლისის ყრილობის მიერ

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება

„საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია"

# წესდება

თბილისი
2017წ.

## მუხლი I
## ზოგადი დებულებანი

1.1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია" (შემდგომ ტექსტში - პარტია) წარმოადგენს საერთო მსოფლმხედველობრივ საფუძველზე შექმნილ მოქალაქეთა ნებაყოფლობით პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც აღიარებს ლიბერალურ-დემოკრატიულ იდეებს და თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე.

1.2. პარტია მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

1.3. პარტია არის არასამეწარმეო იურიდიული პირი და გააჩნია იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი სიმბოლიკა: ბეჭედი და ემბლემა.

1.4. პარტიის ემბლემაა ლურჯი ფერის ოთხკუთხა გეომეტრიული ფიგურის შუაში გამოსახული თეთრი სვეტიდან ქვევიდან ზევით ამომავალი ათი სხივი, გეომეტრიულ ფიგურას ქვედა ვიწრო ნაწილში სვეტის სათავესთან ჰყოფს წითელი ლენტი, რომელზეც თეთრ ფერში გამოსახულია ქართული ასოებით: სეგ.

1.5. პარტიის ბეჭედი არის ლურჯი ფერის, მრგვალი ფორმის, რომლის გარეთა რკალში წრიულად ჩაწერილია „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია" ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე, ხოლო შიდა წრეში ცენტრში განთავსებულია პარტიის ემბლემა ლურჯ-თეთრ ფერებში.

1.6. პარტიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, ჯანჯღავას ქუჩა N7 (ნაკვეთი N20/13).

## მუხლი II
## პარტიის მიზანი (ამოცანა)

2.1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია" წარმოადგენს რა ცენტრისტულ-ლიბერალური მიმართულების პარტიას, მისი მიზანია (ამოცანაა) კანონით დადგენილი წესით ხელი შეუწყოს:

ა) საქართველოს რეალური სუვერენიტეტის განმტკიცებას, მისი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას;

ბ) ისეთი საზოგადოებრივი შეთანხმების მიღწევას, რომელიც საფუძვლად დაედება ქვეყნის მთლიანობას და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას;

გ) სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების შემდგომ ლიბერალიზაციას, შექმნას პირობები მოქალაქეთა თავისუფალი შრომისათვის, დაიცვას მოქალაქე ომისა და ძალადობისაგან, ეკონომიკური და იდეოლოგიური ტერორისაგან.

დ) დემოკრატიისა და თვითმმართველობის პრინციპების განმტკიცებას, საკანონმდებლო სფეროს მოწესრიგებას ტრადიცია-ნოვაციის რეალური დინამიკის გათვალისწინებით;

ე) ევროპული ინტეგრაციის პროცესში თანდათანობით ჩართვის პარალელურად საგარეო პოლიტიკური კურსის აქცენტირებას კავკასიის, შავი და კასპიის ზღვის აუზების მიმართულებით, ისეთი ეფექტური დამცავი მექანიზმების ამოქმედებას, რომლებიც გაანეიტრალებენ რადიკალური გლობალიზაციის და ფსევდო-კულტურული ექსპანსიის უარყოფით ზეგავლენას ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაზე.

2.2. აღნიშნული მიზნების (ამოცანების) მისაღწევად პარტია იყენებს კანონით ნებადართული საქმიანობის ყველა ფორმას და საშუალებას, აქტიურად მონაწილეობს საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მიზნის მიღწევის გზად პარტია ირჩევს ფართო აგიტაციო-პროპაგანდას, აქტიურ მუშაობას თანამოაზრეთა შემოსაკრებად, დემოკრატიულ საარჩევნო პროცესში მონაწილეობას სახელისუფლებო სტრუქტურების მისაპოვებლად.

## მუხლი III
## პარტიის წევრობა

**3.1.** პარტიის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, რომელიც აღიარებს პარტიის წესდებას და იმავდროულად არ არის სხვა პარტიის წევრი.

**3.2.** პარტიის წევრად მიღება ხდება წევრობის მსურველის პირადი წერილობითი განცხადების საფუძველზე.

3.3. წევრად მიღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტიის გამგეობა (მთავარი კომიტეტი) (შემდგომ ტექსტში - მთავარი კომიტეტი).

3.4. პარტიის წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს და არჩეულ იქნეს პარტიის ხელმძღვანელ, აღმასრულებელ და მაკონტროლებელ ორგანოებში;

ბ) მონაწილეობა მიიღოს საწესდებო მიზნების (ამოცანების) განხორციელებაში;

გ) პარტიის საქმიანობასთან დაკავშირებით მიმართოს პარტიის შესაბამის ორგანოს წინადადებით, განცხადებით და მიიღოს მასზე პასუხი;

დ) გაეცნოს პარტიის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტაციას;

ე) პარტიული საქმიანობის განხორციელებისას დადგენილი წესით ისარგებლოს პარტიის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;

ვ) ესწრებოდეს მისთვის დისციპლინური ზომის დაკისრებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვას, წარადგინოს თავისი მოსაზრებები;

ზ) მთავარი კომიტეტისთვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე გავიდეს პარტიიდან.

**3.5.** პარტიის წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას პარტიის წესდება და შეასრულოს პარტიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები;

ბ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს პარტიის საქმიანობასა და საარჩევნო კამპანიაში;

გ) მონაწილეობა არ მიიღოს პარტიის პოლიტიკური კურსის საწინააღმდეგო საქმიანობაში;

დ) თავისი მოქმედებით არ დაუშვას პარტიის დისკრედიტაცია;

ე) დადგენილი წესითა და ოდენობით გადაიხადოს საწევრო შენატანი.

**3.6.** წესდებით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის პარტიის წევრის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი დისციპლინური ზომები:

ა) წერილობითი საყვედური;

ბ) პარტიიდან გარიცხვა.

3.7. დისციპლინური ზომის განსაზღვრისა და გამოყენების შესახებ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას იღებს მთავარი კომიტეტი.

3.8. დისციპლინური ზომის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს პარტიის ზემდგომ ორგანოში.

## მუხლი IV
## პარტიის მართვა

4.1. პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი და წარმომადგენლობითი ორგანოა ყრილობა. პარტიის მორიგი ყრილობა მოიწვევა 4 წელიწადში ერთხელ. პარტიის მორიგი ყრილობა ტარდება ოთხწლიანი საარჩევნო-საანგარიშო ციკლის დასრულებისთანავე.

**4.2.** პარტიის რიგგარეშე ყრილობას იწვევს პარტიის თავმჯდომარე ან მისი მოწვევის ინიციატორი:

ა) თავმჯდომარის ინიციატივით;

ბ) პარტიის წევრთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნით.

გ) პარტიის მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

4.3. რიგგარეშე ყრილობა ტარდება მოწვევიდან ორი კვირის ვადაში ინიციატორის მიერ წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.

4.4. ყრილობა ტარდება პარტიის წევრთა ან წევრთა ჯგუფების მიერ არჩეული წარმომადგენლების (დელეგატების) მონაწილეობით. ამ წარმომადგენელთა (დელეგატთა) კვოტებს ადგენს პარტიის მთავარი კომიტეტი ისე, რომ აირჩეს არანაკლებ 200 წარმომადგენლისა (დელეგატისა). პარტიის თავმჯდომარე, ასევე მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის წევრები ავტომატურად ითვლებიან ყრილობის დელეგატებად.

4.5 ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა (ან დელეგატთა) ნახევარზე მეტი.

4.6. ყრილობა გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა (ან დელეგატთა) ხმების უმრავლესობით, გარდა წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4.7. ყრილობა:

ა) დამსწრე წევრთა (დელეგატთა) ორი მესამედის უმრავლესობით იღებს პარტიის წესდებას ან ცვლილებები და დამატებები შეაქვს მასში

ბ) ისმენს მის მიერ არჩეული ან დანიშნული პირებისა და ორგანოების ანგარიშებს.

გ) განსაზღვრავს პარტიის პოლიტიკური კურსის ძირითად მიმართულებებს;

დ) პარტიის წევრთაგან 4 წლის უფლებამოსილების ვადით ირჩევს პარტიის მთავარ კომიტეტს არანაკლებ 3 (სამი) და არაუმეტეს 9 (ცხრა) წევრის შემადგენლობით;

ე) პარტიის წევრთაგან 4 წლის უფლებამოსილების ვადით ირჩევს სარევიზიო კომისიას არანაკლებ 3 (სამი) და არაუმეტეს 5 (ხუთი) წევრის შემადგენლობით;

ვ) მთავარი კომიტეტის წევრთაგან მთავარი კომიტეტის უფლებამოსილების ვადით ირჩევს პარტიის თავმჯდომარეს;

ზ) უფლებამოსილია გააუქმოს პარტიის მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

თ) იღებს გადაწყვეტილებას პარტიის რეორგანიზაციის ან თვითლიკვიდაციის თაობაზე.

4.8. ყრილობის გადაწყვეტილება სავალდებულოა პარტიის ყველა წევრის, ორგანოსა და სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის.

4.9. ყრილობის მიმდინარეობა და მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს ყრილობის თავმჯდომარე და მდივანი.

4.10. ყრილობებს შორის პერიოდში პარტიის მუდმივმოქმედ აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს პარტიის მთავარი კომიტეტი.

4.11. პარტიის მთავარ კომიტეტს ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით არანაკლებ 3 (სამი) და არაუმეტეს 9 (ცხრა) წევრის შემადგენლობით ირჩევს პარტიის ყრილობა. მთავარი კომიტეტის უფლებამოსილება წყდება მთავარი კომიტეტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე ან ვადაზე ადრე ახალი მთავარი კომიტეტის არჩევისთანავე. მთავარი კომიტეტის წევრის უფლებამოსილება უწყდება გადადგომის, გადაყენების, პარტიის წევრობის შეწყვეტის ან გარდაცვალების შემთხვევაში

4.12. პარტიის მთავარი კომიტეტის რიგითი სხდომა მოიწვევა კვარტალში ერთხელ მაინც, ხოლო მთავარი კომიტეტის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ თავმჯდომარის ან მთავარი კომიტეტის წევრთა სრული შემადგენლობის 1/3-ის ინიციატივით მოწვევიდან 24 საათის განმავლობაში

4.13. პარტიის მთავარი კომიტეტი:

ა) უზრუნველყოფს ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას;

ბ) იღებს გადაწყვეტილებებს პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფების შექმნისა და გაუქმების თაობაზე, ისმენს პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფების ანგარიშებს;

გ) შეიმუშავებს და ამტკიცებს პარტიის სამოქმედო გეგმას, წესდების ფარგლებში ყრილობის გადაწყვეტილებების მიხედვით განსახორციელებელი საქმიანობის განმსაზღვრელ დოკუმენტებს;

დ) ამტკიცებს საპრეზიდენტო, უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში პარტიიდან წარსადგენ კანდიდატთა სიას;

ე) ამტკიცებს საწევრო შენატანის ოდენობას და გადახდის წესს, ამტკიცებს პარტიის ბიუჯეტს;

ვ) უფლებამოსილია გააუქმოს პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

ზ) ასრულებს ამ წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;

თ) იღებს გადაწყვეტილებებს ყველა სხვა მიმდინარე საკითხებზე, რაც წარმოიშობა ყრილობებს შორის პერიოდში და რაც კანონითა და ამ წესდებით არ განეკუთვნება ყრილობისა და პარტიის სხვა თანამდებობის პირთა და ორგანოთა განსაკუთრებულ კომპეტენციას.

4.14. პარტიის მთავარი კომიტეტის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მთავარი კომიტეტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, გარდა წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4.15. პარტიის მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილება, გარდა წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

4.16. პარტიის თავმჯდომარე პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი თანამდებობის პირია, რომელიც აირჩევა 4 წლის უფლებამოსილების ვადით. პარტიის თავმჯდომარის უფლებამოსილება წყდება პარტიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე ან ვადაზე ადრე ახალი თავმჯდომარის არჩევისთანავე, ასევე გადადგომის, პარტიის წევრობის შეწყვეტის ან გარდაცვალების შემთხვევაში.

4.17. პარტიის თავმჯდომარე:

ა) წარმოადგენს პარტიის უმაღლეს ხელმძღვანელ პირს;

ბ) იწვევს, აწარმოებს და ხელმძღვანელობს პარტიის მთავარი კომიტეტის სხდომებს;

გ) არის პარტიის ერთპიროვნული წარმომადგენელი (სრული უფლებამოსილებით) მესამე პირებთან ურთიერთობაში, წარმოადგენს პარტიის ზოგად და სპეციალურ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს.

დ) კოორდინაციას უწევს პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების საქმიანობას;

ე) აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს პარტიის სახელით;

ვ) გამოსცემს ბრძანებებს, განკარგულებებს;

ზ) ხელს აწერს პარტიის მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებებსა და განცხადებებს.

თ) ასრულებს წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4.18. პარტიის თავმჯდომარის დროებით არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს პარტიის მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებით მთავარი კომიტეტის ერთ-ერთი წევრი, ხელმძღვანელი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესაბამისი წესით რეგისტრაციის შემდეგ.

4.19. პარტიის თავმჯდომარეს უფლებამოსილება შეუწყდება პარტიის წევრობის შეწყვეტის, გადადგომის, გადაყენების ან გარდაცვალებისას. ასეთ შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა იქნეს არჩეული პარტიის ახალი თავმჯდომარე.

4.20. პარტიის საფინანსო-სამეურნეო და საწესდებო საქმიანობის კონტროლის მიზნით იქმნება სარევიზიო კომისია. სარევიზიო კომისიას ფარული კენჭისყრით არანაკლებ 3 (სამი) და არაუმეტეს 5 (ხუთი) წევრის შემადგენლობით 4 წლის უფლებამოსილების ვადით ირჩევს ყრილობა. სარევიზიო კომისიის უფლებამოსილება წყდება სარევიზიო კომისიის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე ან ვადაზე ადრე ახალი სარევიზიო კომისიის არჩევისთანავე. სარევიზიო კომისიის წევრს უფლებამოსილება უწყდება გადადგომის, პარტიის წევრობის შეწყვეტის ან გარდაცვალების შემთხვევაში. სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება აირჩეს პარტიის სხვა რომელიმე ორგანოს წევრი ან თანამდებობის პირი.

4.21. სარევიზიო კომისიას ხელმძღვანელობს მისი თავმჯდომარე, რომელსაც თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები.
4.22. სარევიზიო კომისია აკონტროლებს პარტიის წევრების, ორგანოებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ პარტიის წესდების დაცვას, პარტიის საფინანსო საქმიანობას და თავის დასკვნებს წარუდგენს შესაბამის პარტიულ ორგანოს.
4.23. სარევიზიო კომისია შემოწმების შედეგების საფუძველზე შეიმუშავებს და შესაბამის პარტიულ ორგანოს წარუდგენს წინადადებებს დისციპლინური ზომების დაკისრებისა და პარტიის ორგანიზაციული საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ.
4.24. სარევიზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობა. სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილებისათვის აუცილებელია მინიმუმ 3 წევრის თანხმობა.
4.25. სარევიზიო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პარტიის სხვა ორგანოს წევრი.
4.26. სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია მხოლოდ პარტიის ყრილობის წინაშე.
4.27. პარტიის სარევიზიო კომისიის წევრს უფლება აქვს დაესწროს პარტიის ნებისმიერი ორგანოსა და სტრუქტურული ქვედანაყოფის სხდომას და გამოთქვას მოსაზრებები.
4.28. სარევიზიო კომისია ვალდებულია გააცნოს თავისი დასკვნა იმ ორგანოს ან წევრს, რომელსაც იგი ეხება.

## მუხლი V
## პარტიის სტრუქტურა

5.1. პარტიას უფლება აქვს შექმნას სტრუქტურული ქვედანაყოფები იურიდიული პირის უფლებების გარეშე.
5.2. პარტიის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს ქმნის და აუქმებს მთავარი კომიტეტი.
5.3. სტრუქტურული ქვედანაყოფის შიდა ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს დებულება, რომელსაც ამტკიცებს პარტიის მთავარი კომიტეტი.
5.4. პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფი ვალდებულია თავისი საქმიანობა წარმართოს პარტიის პოლიტიკური კურსის შესაბამისად.
5.5. თუ ქვედანაყოფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მაშინ მის დებულებას და პარტიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ხელმოწერის (ხელმოწერების) ნოტარიულად დამოწმებულ ნიმუშებს პარტია ერთი თვის ვადაში უგზავნის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.
5.6. თუ ქვედანაყოფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს რომელიმე ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებში, მაშინ მის დებულებას, პარტიის წესდებას და პარტიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ხელმოწერის (ხელმოწერების) ნოტარიულად დამოწმებულ ნიმუშს (ნიმუშებს) პარტია ერთი თვის ვადაში უგზავნის შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს.

## მუხლი VI
## პარტიის ქონება და ფინანსები

6.1. პარტიის ქონებას ქმნის:
ა) საწევრო შენატანები,
ბ) შემოწირულებები;
გ) კანონით დადგენილ შემთხვევებში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა;
დ) სიმბოლიკის დამზადებითა და გაყიდვებით, ლექციების, გამოფენებისა და სხვა საჯარო ღონისძიებების მოწყობით, აგრეთვე საწესდებო მიზნებიდან გამომდინარე საგამომცემლო და

სხვა საქმიანობიდან მიღებული წლიური შემოსავალი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მინიმალური საბაზო დაფინანსების ორმაგ ოდენობას.

**6.2.** პარტიის ფულად სახსრებს და ქონებას პარტიის დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში განკარგავს პარტიის თავმჯდომარე

6.3. პარტიის ქონება და სახსრები გამოიყენება მხოლოდ წესდებით მიზნების განსახორციელებლად და მისი განკარგვა სხვა დანიშნულებით დაუშვებელია.

მუხლი VII

წესდებაში ცვლილების შეტანის წესი

7.1. პარტია ვალდებულია წესდებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში 10 დღის ვადაში აცნობოს ამის თაობაზე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები.

**7.2.** ცვლილების რეგისტრაცია ხდება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში.

**7.3.** წესდებაში შეტანილი ცვლილების მიხედვით მიღებული გადაწყვეტილება მოქმედებს მხოლოდ ამ ცვლილების რეგისტრაციის შემდეგ.

მუხლი VIII

პარტიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

**8.1.** მხოლოდ პარტიის ყრილობას უფლებამოსილი დამსწრე წევრთა (დელეგატთა) ორი მესამედით:

**ა)** მიიღოს გადაწყვეტილება პარტიის რეორგანიზაციის შესახებ;

**ბ)** მიიღოს გადაწყვეტილება პარტიის თვითლიკვიდაციის შესახებ

**8.2.** პარტიის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

**8.3.** პარტიის რეორგანიზაციის ან თვითლიკვიდაციის შემდგომ დარჩენილი ქონება ყრილობის გადაწყვეტილებით ნაწილდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი IX

დასკვნითი დებულებები

9.1. თუ ამ წესდების რომელიმე მუხლი ძალადაკარგულად იქნება ცნობილი, იგი გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა მუხლებზე.

9.2. თუ ამ წესდების რომელიმე მუხლი ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ძალაშია მოქმედი კანონმდებლობის ნორმები.

პარტიის თავმჯდომარე          [illegible] ჯავახიშვილი